CARITAS GEORGIA
საქართველოს კარიტასი

ტელ./Tel.: (995 32) 294 20 73/225 01 93/225 13 87/221 78 19/ 591 229 700
ფაქსი/Fax.: (995 32) 221 78 19/225 13 87
ელ-ფოსტა/E-mail: caritas-georgia@caritas.ge
მისამართი: ნუცუბიძის 3ა, II მ.რ., 0183 თბილისი, საქართველო
Office address: 3a, Nutsubidze Plateau II, 0183 Tbilisi, Georgia

№ CG R-73 -169/14

30/04/2014 წ

რ წ მ უ ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

ორიათას თოთხმეტი წლის ოცდაათ აპრილს, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი საქველმოქმედო ფონდი **„საქართველოს კარიტასი“-ს** (საიდენტიფიკაციო ნომერი: 211334091), წარმომადგენლობით უფლებამოსილი პირი, დირექტორი **კშიშტოვ გუსტავ კოვალ პასპორტი№ POL AM 9218538** (შემდგომში **მარწმუნებელი**), **კობა კენჭიაშვილს** (პირადი პირადი № 01007008694, შემდგომში **რწმუნებული**), წინამდებარე რწმუნებულებით, ვანიჭებ შემდეგ უფლებამოსილებას:

1. რწმუნებული იცავს მარწმუნებლის ქონებრივ და არაქონებრივ ინტერესებს, ამ მიზნით რწმუნებული მარწმუნებელს წარმოადგენს ქალაქ თბილისის მერიაში, სსიპ არქიტექტურის სამსახურში, ზედამხედველობის სამსახურში, იუსტიციის სახლში, ა.ი.პ. საქველმოქმედო ფონდი **„საქართველოს კარიტასი“-ს** საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებასთან, რომლის მონაცემებია: ქალაქ თბილისი, ერ. მანჯგალაძის ქ. № 59 საკადასტრო კოდი: 01.12.13.063.003, პროექტის შეთანხმებისას, მშენებლობის დასრულების შემდეგ ვარგისად აღიარებისას (ექსპლუატაციაში მიღება).
2. აღნიშნული რწმუნებულების განსახორციელებლად რწმუნებული უფლებამოსილია მარწმუნებლის სახელით შეასრულოს ყველა საჭირო პროცედურა, რაც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის – განცხადების შეტანა, ხელშეკრულებაზე, შეთანხმებაზე ხელმოწერა, მოსაკრებლის გადახდა და სხვა.
3. არავინ არ შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს რწმუნებულის უფლებამოსილებანი იმის გამო, რომ წინამდებარე რწმუნებულებაში რწმუნებულის უფლებები სრულად არ არის ჩამოთვლილი. რწმუნებული უფლებამოსილია შეასრულოს სხვა ნებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული ამ რწმუნებულებაში, მაგრამ აუცილებელია მარწმუნებლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად.
4. რწმუნებული ვალდებულია რწმუნებულებით მინიჭებული უფლებამოსილება განახორციელოს კეთილსინდისიერად და გულისხმიერებით, მარწმუნებელს მიაწოდოს ცნობები დავალების შესრულების მიმდინარეობის შესახებ, შესრულების შემდეგ კი ჩააბაროს ანგარიში.
5. რწმუნებულება გაცემულია მის გაუქმებამდე.

ა.ი.პ. საქველმოქმედო ფონდი „საქართველოს კარიტასი“-ს
გენერალური დირექტორი
კშიშტოვ გუსტავ კოვალ

_____

